

დოლარის კურსის აწევა გამოსადიებელია!

გაზეთი “ახალი თაობა” – 11 ნოემბერი, № 312, 2008

ინტერვიუ ეკონომიკურ ექსპერტ ლადო პაპავასთან

– ბატონო ლადო, რა ხდება ლარის კურსთან მიმართებაში და რატომ მოიცვა ლარის კურსის სწრაფმა ცვლილებამ მოსახლეობა პანიკაში?

– ჩვენ ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ ორი მოვლენა. ერთი მათგანი დაკავშირებულია იმ ტენდენციასთან, რომელიც დღეს გლობალურ ბაზარზე ჩამოყალიბდა დოლარის გამყარებასთან დაკავშირებით. ბუნებრივია, დოლარის გამყარება არ არის აბსტრაქტული: ის ყველა ქვეყანაში მყარდება შესაბამის ეროვნულ ვალუტასთან მიმართებაში. ასე რომ, დოლარის გამყარება საქართველოში, ეს არის პროცესი ლარის გაუფასურების, თანდათანობით დევალვაციის. ეს არის ობიექტური პროცესი. ჩვენ თუ გადავხედავთ მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ეს არის მცოცავი პროცესი ანუ მოთხოვნა იზრდება დოლარზე. საქართველოში კი დოლარზე მოთხოვნა იმითაც იზრდება, რომ ომის შემდგომ პერიოდში ქვეყანაში ინვესტიციების შემოსვლა შემცირდა; შემცირდა უცხოეთიდან ჩვენი თანამოქალაქეების მიერ გამოგზავნილი ფულადი გზავნილებიც, ანუ შემცირდა დოლარის შემოდინება. ამ კუთხით დოლარის გამყარება, ეს არის ობიექტური პროცესი. მაგრამ ამისგან ცალკე უნდა გამოვყოთ ის, რაც პარასკევს მოხდა, რაზეც მე ექსპერტულ შეფასებას გავაკეთებ, ხოლო კომპეტენტურმა ორგანოებმა კი შესაბამისი სამართლებრივი დასკვნა უნდა გააკეთონ.

– მაინც რა მოხდა პარსკევს?

– პარასკევს პრაქტიკულად საბირჟო ვაჭრობა ბოლომდე არ ჩატარებულა. ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე მოთხოვნა იყო 31 მლნ დოლარზე მეტი. მთელი ოპერაცია შემოიფარგლა მხოლოდ 270 000 დოლარით. მოთხოვნა როგორც ასეთი არ იქნა დაკმაყოფილებული. ამან გამოიწვია ის, რომ ქვეყანაში

შეიქმნა პანიკა. წარმოიდგინეთ, როცა ბანკი აკეთებს განაცხადს ამათუ იმ ოდენობის ვალუტის შესყიდვაზე ამ განაცხადის უკან, როგორც წესი, არიან ის კლიენტები, რომლებიც სთხოვენ ბანკს შესაბამის ოპერაციას. თუ ბანკი ამას ვერ ახორციელებს, ხოლო კლიენტს ამის სურვილი აქვს, რა რჩევა კლიენტს – ქუჩაში გავიდეს და გადამცვლელი ჯიხურებით დაიწყოს ოპერირება. ეს ხომ უკვე დამატებით მოთხოვნას ზრდის უშუალოდ ვალუტით “წვრილ” მოვაჭრეებში. ეს, ბუნებრივია, დიდი ოდენობით “შეისრუტავს” დოლარებს და იწყება პანიკა, რადგანაც იქმნება გარკვეული შიშის სინდრომი. ცდილობენ, როგორმე თავი დაიხდვიონ და ხალხი ლარს იცილებს. ეს ყველაფერი მოხდა პარასკევს და გაგრძელდა შაბათ-კვირას. ეს რითია იცით კიდევ ცუდი? – იმიტომ, რომ პარასკევის შემდეგ საბირჟო ვაჭრობა მხოლოდ ორშაბათს განახლდება. შაბათ-კვირა რადგან ვაჭრობა არ არის მოსახლეობამ დაიწყო ბანკონატებიდან ფულის მოხსნა. გადამცვლელ პუნქტებში შეიქმნა პანიკა. დოლარს ყიდულობდნენ, მაგრამ უკვე ცუდი კურსით. გაყიდვას ეწერა 1,65, მაგრამ თითქმის არ ყიდიდნენ. დღეს უკვე ოფიციალურად დაფიქსირდა ლარის კურსი 1,65. ორშაბათს ვაჭრობის დროს მოთხოვნა იყო 77 მლნ დოლარზე მეტი, ხოლო გაყიდვა – 47 მლნ. გადავედით ლარის კურსის ახალ ნიშნულზე. ზუსტად რა მოხდა გასულ პარასკევს, არ ვიცი. ეს იყო შეგნებით გაკეთებული, თუ არაკომპეტენტურობის ბრალი.

– ეს იყო ფინანსური აფიორა, ამის ნიშნები იკვეთბა?

– ვერ გეტყვით. რაც მოხდა, ეს არის კომპეტენტური ორგანოების მიერ შესასწავლი. მე შემიძლია მხოლოდ ის გითხრათ, რომ ეს იყო ან არაკომპეტენტურობა, ან კიდევ შეგნებით გაკეთებული არასწორი ნაბიჯი.

– ბატონმა დავით ამადლობელმა გუშინ გააკეთა განცხადება, რომ ის რაც მოხდა პარასკევს ეს წინასწარ იყო დაგეგმილი...

– მე ამ განცხადებას სკეპტიკურად ვუყურებ, რადგანაც შაბათს ტელევიზიით პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ ტელევიზიით ისეთი კომენტარი გააკეთა, რომ თითქოს ქვეყანაში არც არაფერი მომხდარიყოს. ასე, რომ ბატონი ამადლობელის განცხადება ამ ფონზე სულაც არ არის დამაჯერებელი...

- ყოველივე ამან სერიოზული დარტყმა მიაყენა ლარს?

- რა თქმა უნდა. ლარი გაუფასურებულია. მცოცავი გაუფასურება, ეს იყო მოსალოდნელი და ამდენად პროგნოზირებადი პროცესი, და ეს საშიში დიდად არც კი იყო – ასეთი რამ მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში ხდება ეროვნულ ვალუტასთან მიმართებაში. ნახტომისებური გაუფასურებისათვის კიარანაირი საფუძველი არ არსებობდა. ეს არის გაკეთებული ან შეგნებით ან არაკომპეტენტურობით.

- ბატონო ლადო, ბანკთაშორის ბირჟაზე ვაჭრობას ქვეყნის ფინანსური უსაფრთხოებიდან გამომდინარე, უშიშროების სამსახური არ აკონტროლებს? კონტროლი ხომ საჭიროა?

- ეს უშუალოდ ეროვნული ბანკის პრეროგატივაა. მაგრამ რაც პარასკევს მოხდა, ეს უკვე ცდება მარტო ეროვნული ბანკის კომპეტენციას და უფრო ფართე მასშტაბის შესწავლას მოითხოვს.

- არსებული ვითარებოდან გამომდინარე სამომავლოდ რამდენად სერიოზული საფრთხე გველის?

- პირველი, რაც უნდა ითქვას: საერთაშორისო სავალუტო ფონდმა 750 მლნ დოლარი გამოყო. ამ თანხის მიმღები არის საქართველოს ეროვნული ბანკი. ეს თანხა გამოყენებულ უნდა იქნას სწორედ ლარის გაცვლითი კურსის სტაბილურობის შესანარჩუნებლად. ამ 750 მლნ-დან 250 უკვე მოვიდა საქართველოში და ეს ფული უკვე დახარჯულიცაა. ის დაიხარჯა სწორედ ლარის კურსის სტაბილურობის ხელოვნურ შენარჩუნებაში, იმაზე უფრო მყარი გაცვლითი კურსით, ვიდრე ეს სინამდვილეში უნდა ყოფილიყო. 26 თვის განმავლობაში ქვეყანაში 4,5 მლრდ დოლარი უნდა შემოვიდეს საერთაშორისო დახმარების სახით, რაც სწორი პოლიტიკის გატარების პირობებში ლარის ეკონომიკური შოკების თავიდან აცილების გარანტი უნდა გახდეს.

- ბოლო პერიოდში ლარის სტაბილურობის ხელოვნურად შემცირება აუცილებელი იყო?

- ხელოვნური შენარჩუნება იყო შეცდომა, უნდა ყოფილიყო მცოცავი, ნარნარი გაუფასურება. ნახტომის ობიექტური საფუძველი ნამდვილად არ იყო. ესლა ორიოდ სიტყვით შევეხოთ იმას, თუ რა გველოდება. ეროვნული ბანკის

რეზერვები 1 მლრდ-ზე მეტია. ამიტომ, უახლოეს დღეებში რაღაც განსაკუთრებული კატასტროფის წინაშე ობიექტურად არ ვდგავართ, თუ ისევ შეგნებით ან არაკომპეტენტურობით არ განმეორდა ის, რაც გასულ პარასკევს მოხდა.

– ბატონო ლადო, რაზეც ვსაუბრობთ, ფაქტია, რომ ყველასთვის ხელმისაწვდომი არ არის და ყველას არ მიუწვდება ხელი ბანკთაშორის ბირჟაზე და ლარის კურსის ცვლაზე.

– რა თქმა უნდა. ვინც პარასკევს პრაქტიკულად ჩაშალა 31 მილიონით ვაჭრობა და ხელი შეუწყო პანიკის შექმნას აი ესენი არიან მთავარი პირები მოქმედი.

– ეს კომერციული სტრუქტურა შეიძლება ყოფილიყო თუ სახელმწიფო?

– ვაჭრობა შეეძლო ჩაეშალა მხოლოდ სახელმწიფოს.

– რადგან ვაჭრობა სახელმწიფომ ჩაშალა, ამით რა მოგება ნახა სახელმწიფომ?

– სახელმწიფომ, ქვეყანამ, ხალხმა წაგება ნახა, რადგანაც ასეთი ვარდნა არის პანიკის შემქმნელი. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩვენი სამომხმარებლო ბაზრის 80%-ზე მეტი იმპორტს უკავია, ეს უკვე ფასების მნიშვნელოვან ზრდას ნიშნავს. როცა პანიკაა, იმპორტიორები იმაზე უფრო მეტ ფასს ადებენ პროდუქციას, ვიდრე გაცვლითი კურსის მოცემულმა ცვლილებამ გამოიწვია. ამას იმიტომ აკეთებენ, რომ სამომავლოდ თადარიგი დაიჭირონ, და თანაც “გუშინ” გაყიდულ საქონელზე გაცვლითი კურსის ვარდნით მიყენებული ზარალი აღმოფხვრან.

– თქვენი საუბრიდან გამოდის, რომ სახელმწიფომ, ანუ კონკრეტულმა ჩინოვნიკმა ვიღაცის ბიზნეს-ინტერესები გაატარა ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე. ასეა?

– ასეა. ვიღაცის ბიზნესინტერესები გაატარა ხელისუფლებაში მყოფმა იმ კონკრეტულმა პირებმა, ვინც მიიღო ან იცოდა მაინც ამ გადაწყვეტილების შესახებ.

- ლარის კურსის ხელოვნურმა გამყარებამ სერიოზულად დაარტყა ქვეყნის ეკონომიკას?

- რა თქმა უნდა. იმპორტი გაძვირდა ნახტომისებურად.

- ბატონო ლადო, ლარის დევალვაცია უფრო მეტად დამაფიქრებელია იმ ფონზე, როცა უახლოეს მომავალში უნდა ველოდეთ პენსიის ზრადს ას დოლარამდე.

- ას დოლარიანი პენსიის დარიგება აწი კიდევ უფრო გაჭირდება. რა იქნება მომავალში, პროგნოზის გაკეთება, იმიტომ მიჭირს რომ ზუსტად არ ვიცი თუ რა მოხდა პარასკევს. გარედან რაც ჩანს, ეს ორი სხვადასხვა სცენარია. თუ ეს შეგნებით არის გაკეთებული, ვინც დასასჯელია დაისჯება, მაშინ შეიძლება ვთქვათ, რომ პერსპექტივა არც ისე ცუდია. მაგრამ თუ ეს არაკომპეტენტურობაა, მაშინ ეს უფრო სერიოზული პრობლემაა. არაკომპეტენტურობა ჩანს ჩვენი ქვეყნის ყველა სფეროში. ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი რამდენით გაიზარდა, ეს ხილვადი არ არის. ფასები რომ იზრდება, ეს გასაგებია ყველასთვის, მაგრამ სტატისტიკა ინფლაციის მაჩვენებელს როგორც უნდა, ისე მოიტყუებს და იტყვის წლიური ინფლაცია 7%-იაო. მაგრამ გაცვლით კურსს ხომ ვერ შენიღბავენ? ეს ხომ ის რეალობაა, რომელსაც ვერანაირი სტატისტიკა და პიარი ვერ შეაღამაზებს.

- ბატონო ლადო, როცა ქვეყანა დღემდე საომარ სიტუაციაშია, რამდენად სწორია პრეზიდენტის ეკონომიკური მრჩევლების ნაბიჯები?

- ნეტა თუ იცით ვინ არიან მრჩევლები? ფორმალურად თუ ავიღებთ პრეზიდენტთან არსებობს ეკონომიკური საბჭო, რომლის წევრი მეც ვარ. ეს საბჭო შეიქმნა 2005 წლის იანვარში, ერთადერთი სხდომა ჩატარდა 2005 წლის მარტში. საბჭო არსებობს ქაღალდზე. იმ საბჭოს ორი წევრი გარდაიცვალა და მგონი ისინი ამ საბჭოს წევრებად დღესაც რჩებიან. რაც შეეხება მრჩევლებს, ფორმალურად თუ არსებობს ასეთი ინსტიტუტი, მე არ ვიცი. ხოლო არაფორმალურ მრჩევლად ვინც გაუხარდება პრეზიდენტს, ის ეყოლება. მთავარს გეტყვით, ჩვენ დღეს ვიწვნევთ იმ შედეგებს, რაც გაკეთებულ იქნა მთავრობის მიერ ლადო გურგენიძის ხელმძღვანელობით, როცა მან მიზანმიმართულად

დაიწყო ეროვნული ბანკის დასუსტება. პარასკევს რაც მოხდა, ეს არის ლოგიკური შედეგი ლადო გურგენიძის პოლიტიკის

– რას გულისხმობთ, ეს არის გურგენიძისდროინდელი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შედეგი?

– ეს არის ეროვნული ბანკის არასწორი ინსტიტუციონალური მოწყობა. ეს არის სწორედ ის, რასაც ჩვენ ვეკამათებოდით თებერვალში და მარტში. ვეუბნებოდით: ნუ ანგრევთ ეროვნულ ბანკს. უბრალოდ გურგენიძეს ბედი ჰქონია, დროზე გაასწრო და უშუალოდ მას პასუხის ალბათ ვერც კი მოსთხოვენ...

– ახალ პრემიერს მოეთხოვება ამაზე პასუხი?

– რაც შეეხება ახალ პრემიერს, ამ თემაზე მასთან საუბარს, მე მგონი, ჯერ-ჯერობით აზრი არც კი აქვს.

შორენა კოწოწაშვილი